სტოიკური ღირსება და Oikeiôsis : ქრისტიანობის აბსტრაქტულობის პრობლემა სიმონ ვეილთან

ჯამბული ბარამიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ლადარია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჯამბული ბარამიძე

30.01.25

აბსტრაქტი

ისტორიული ქრისტიანობის მიერ მასში იმთავითვე ჩამოყალიბებული ცენტრალური სტოიკური ელემენტების უგულებელყოფა, სიმონ ვეილის თანახმად, ქრისტიანობის აბსტრაქტულობის მიზეზად იქცა. ქრისტიანობის აბსტრაქტულობა ვეილთან, მოიაზრებს იმას, რომ ის მოსწყდა ზებუნებრივ სიკეთეს - რაც, ამ ნაშრომის მიხედვით, პარტიკულარისტული ხედვის შედეგად, იმანენტურ სამყაროსთან გაუცხოებით, მისგან ამოძირკვით იყო გამოწვეული. ნაშრომის თეზისის მიხედვით, ვეილისთვის „ქრისტიანობის ჭეშმარიტად ხორცშესხმა“ ვერ მოხდება მანამ, სანამ ის ღირსების სტოიკური თეორიის ცენტრალურ ხედვებს არ შეიერთებს. საკუთრივ ბერძნული სტოიციზმი, ვეილის აზრით, სურვილისა და მორჩილების სრულყოფას და უნივერსალურ სიყვარულს გულისხმობს. ღირსების სტოიკური კონცეფციის მსგავს გაგებას პოულობს ვეილი ქრისტეს ორ სწავლებაში. ერთგან, სადაც ქრისტე ასწავლის მოციქულებს, მიბაძონ ველის შროშანსა და ცის ფრინველებს, ე.ი., არ იზრუნონ მომავალზე და ბედს დამორჩილდნენ და სხვაგან, სადაც ქრისტე ასწავლის მათ, დააკვირდნენ მზის შუქისა და წვიმის თანაბარ განაწილებას, რაშიც მამა ღმერთის უნივერსალურობა უნდა დაინახონ. მორჩილება და უნივერსალურობა, რაც სამყაროს შემთხვევაში მის წესრიგსა და მშვენიერებას ედება საფუძვლად, ადამიანის შემთხვევაში, ძალისხმევას გულისხმობს. სახელდობრ ყურადღებასა და მოთმინებას, რომლებიც სურვილითა და სიყვარულითაა გაჯერებული. სწორედ ამ, სახარებაში hupomonê-ს სახელით მოცემულ პოზიციას ძალუძს დაფარულისა და გაუჩინარებულის - გაუბედურებული მოყვასის, სამყაროს მშვენიერების, ღმერთის - მიღება. დაფარულთან კონტაქტის უქონლობის მიზეზი სულის გაუცხოება და ამოძირკვულობაა. ამიტომაც, ნაშრომში ეს საკითხები განხილულია Oikeiôsis-ს კონცეპტის შემოტანით, რომელიც სტოიციზმში და ადრეულ ქრისტიან ღვთისმეტყველებთან სწორედ გაუცხოებულის და უხილავის გაშინაურებას გულისხმობს.

საძიებო სიტყვები: *სიმონ ვეილი, Oikeiôsis, სტოიციზმი, ქრისტიანობა, უნივერსალურობა, მშვენიერება, ყურადღება, სურვილი.*

Abstract

Simone Weil contends that Christianity's neglect of core Stoic elements, which had once been cultivated by historical Christianity, led to its abstract nature. For Weil, this abstraction stems from Christianity's severed connection to the supernatural Good—a schism this work traces to a particularist view shaped by humanity's alienation and uprootedness from the immanent world. According to the thesis of this work, for Weil, Christianity cannot be "truly incarnated" unless it integrates the core tenets of the Stoic theory of virtue. Authentic Greek Stoicism, according to Weil, consists in the perfection of desire and obedience, as well as universal love. Weil identifies a notion aligned with such an understanding of virtue in two distinct teachings of Christ. In one instance, Christ instructs his disciples to imitate the lily of the valley and the birds of the air, i.e., not to worry about the future and to submit to fate, and elsewhere Christ teaches them to observe the equal distribution of the light of the sun and the rain, and in this they should come to see the impartiality of the heavenly father. For humankind, obedience and universality—foundational to the world's order and beauty—require deliberate effort. Namely, attention and endurance sustained by desire and love. Precisely this stance, put forward in the commandment as hupomonê, embraces the concealed and the invisible, the afflicted, along with the beauty of the world and God himself. The soul's alienation and uprootedness explain the inaccessibility of the concealed. Accordingly, this work addresses these themes through the lens of Oikeiosis—a Stoic and early Christian theological concept of reclaiming the alienated and estranged.

Keywords: *Simone Weil, Oikeiôsis, Stoicism, Christianity, Universality, Beauty, Attention, Desire.*